



გაზეთი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოფლის მეურნეობა და მიწის მესაკუთრეთა ინტერესებს

ბათუმი—საქართველოს უნივერსალი... მ. იშხნელი აღზახეთის არჩევნები... ი. დიდი ბოლშევიკების საფრთხის წინ...

უპანასკნელი სწოებაში.

„კლდე“

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ფასი წლის დასრულებამდე 200 მან.

მისამართი კონტორის: დამფუძ. კრებ. ქ. № 5 რედაქციის: წყნეთის ქ. № 17

ტელეფონი 22.



საქართველოს

სენატრობა

თბილისი, თავისუფლების მოედანი (ყოფ. ერევნის № 3 საკრედიტო სახ.—ბის სახლი, ტელეფ. 3-46).

პირითაღი კაპიტალი 30.000,000 მან

დაიწყო თავისი მოქმედება და კომერციული ბანკის ყველა ოპერაციები იღებს შესწავლად შეტანულ ფულს დაიღობს და უფალოდ და პირაობით მიძინარე ანგარიშებს, ბონებს და უცხოვრობას და იძლევა მათ დაუზღუნებელ პირველ მოთხოვნილებებისთანავე. იღებს და იძლევა გადასახადებს ფულს და აკრედიტაციებს საქართველოს ყველა ქალაქებსა და უცხოეთსთვის. უძღულობს და უძღვის მონდობალობებით უცხოეთის ვალდებულებებს და ახალდებს და სხვა ქალაქებს, ვაჭრობებს სავაჭრო ვალდებულებათა და სხვ. ცენტრობანკთან არის ფალოდ გაკრულო საწყობები.

ბათუმი საქართველოს.

იტალიანურ გაზ. „კორიერი“ დედას სერაფის 27 მარტის ნომერში მოთავსებულია ლონდონიდან ტელეგრაფით გადაცემული შემდეგი ცნობა: „ბათუმი საქართველოსთვის. მინისტრთა საბჭომ გამოიკვლია თავისი წინანდელი შეხედულება ბათუმისა და მისი ოლქის შესახებ. ომამდე ბათუმი შეადგენდა რუსეთის იმპერიის ნაწილს. მისი ბედის გადაწყვეტა მეტად ძნელ ამოცანას შეადგენდა, რადგანაც იგი ოსმალეთის ტერიტორიის ნაწილით გადაიქცა. პირველად განზრახული იყო იგი საქართველოსთვის დაეტოვებინათ; მაგრამ შედეგში გაიპარჯვა იმ შეხედულებამ რომ იგი გადაეცაით თავისუფალ საერთაშორისო ქალაქათ მის ირგვლივ ნეიტრალურ ზონის შექმნით, რომ ამრიგად იგი ყოველივე ნათესადგურათ საქართველოსთვის ადერბეიჯანისთვის დასომხეთისათვის და ყოველივე გარანტია თავისუფალი ვაჭრობისა იმ ერებისათვის, რომელთაც არა აქვთ გასავალი ზღვაზე. როგორც საზოგადოთ იმ საკითხების გადაწყვეტა, რომელთა შესახებაც საგარეო სამხედრო მინისტრთა საბჭოს არა აქვს მტკიცე და ერთსულოვანი შეხედულება, ალბათ, იმ კითხვის საბოლოო გადაწყვეტა მოხდება კონფერენციის შედეგში, სადაც მოკავშირე სახელმწიფო წარმომადგენლები შეიკრიბებიან 10 ან 12 აპრილს და შეპკრავენ ზღვას ოსმალეთთან.“

აფხაზეთის არჩევნები

სამი კვირაა რაც აფხაზეთის დამატებითი არჩევნები მოხდა. საბოლოო რიცხვი ჯერ კიდევ არ ვიცით, თუ რომელმა პარტიამ რამდენი ხმა მიიღო ან საერთოდ რამდენმა ამომრჩეველმა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა. დაახლოებით კი შეგვიძლიან ვთქვათ რომ 63,000 ამომრჩეველთან აფხაზეთში 21000-მდე მიიღო მონაწილეობა, რაც 33% სულდის. ამ მეორე დამატებითი არჩევნების დამუშავებულ კრების შემადგენლობაში, ზოგიერთი ცვლილება შეაქვს სახელდობრ: ერთი ჩვენი ნაციონალისტების შალვა ქარუმიძე, ერთი სოც. რევოლუციონერების ივანე ლორთქიფანიძე და ერთი ცრადიკალ დემოკრატების. ყველა ეს ზემო ხსენებული დამატებითი სოც. დემოკრატების ხარჯზე შევა რადგან მხოლოდ სოც. დემოკრატები ჰქარავდნენ სამ დამატებით. ამ სამი ახალი დამატებითი შესვლა დამუშავებულ კრებაში რაოდენამდე გააცხოველებს ოპოზიციას როგორც მარჯვენე ისე მარცხენე. სოც. რევოლუციონერები, ამ არჩევნებში გამარჯვებულნი, ალბათ თამამად დაიწყებენ აფხაზეთზე ლაპარაკს. მართალია ესერებმა სოხუმის ოლქში საქართველოს გაბატონებული პარტიასაც კი აჯობეს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლიან ვთქვათ რომ მათ მინც არ შეუძლიან აფხაზეთის სახელით ილაპარაკონ; არ შეუძლიანთ ვინაიდან როგორც ვიცით აფხაზეთმა დიდი ინდიფერენტობა ახსენებში გამოიჩინეს ამ არჩევნებში, ან პირდაპირ რომ ვთქვათ აფხაზეთის დიდი უმრავლესობამ, საქართველოსა და აფხაზეთის საერთო მტრების გავლენით, არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა. რამდენად შემცდარი იყო აფხაზეთის ეს ხაბიჯი ახლა ამაზე ნურას ვიტყვით ოღონდ ის კი უნდა აღვნიშნოთ რომ აფხაზეთი, თუნდაც უკმაყოფილონი მენშევიკების პოლიტიკით, ვალდებულნი იყვნენ თავისი საზოგადოების წინაშე აფხაზე-

თის წარმომადგენლობა დამფუძნებელ კრებაში ვისთვისმე მიენდოთ. დღეს ისეთ გარემოების წინაშე დგავყენეს აფხაზეთმა რომ რომელ ჩვენში მომქმედ პოლიტიკურ პარტიასაც არ უნდა ჰქონოთ ყველა გეტყვით, გარდა სოც. დემოკრატებისა, რომ აფხაზეთს თუ მიეღობთ არჩევნებში მონაწილეობა უსათუოდ მათ პარტიას მისცემდნ ხმას ამას ამბობენ ესერები, ნაც. დემოკრატები და ამას ვამბობთ ჩვენ, მაგრამ ამას მომავალი დაგვიჩვენებს. დღეს კი საკითხი უფრო სხვა მხრივ გვანტერესებს. ჩვენ წინ ორი საკითხი იბადება. პირველი: რატომ მიიღო მონაწილეობა ამ არჩევნებში შედარებით ცოტა პროცენტმა და მეორე: რატომ გაიმარჯვეს სოც. რევოლუციონერებმა? პირველ საკითხზე ჩვენ შეგვიძლიან შემდეგი ვთქვათ იმის გარდა რომ არჩევნების საში დღის განმავლობაში ძალზე ცუდად ამინდი იყო, იმას გარდა რომ აფხაზეთი უკმაყოფილონი იყვნენ ჩვენი მთავრობის პოლიტიკით, რომელითაც აშკარათ სარგებლობდნ ორგულნი საქართველოსა და აფხაზეთისა, იყო ის მიზეზი რომ ჩვენ ვერ შეუწყვეთ ხელი აფხაზეთს შედგინათ როგორც საკუთარი აფხაზეთი სია, ისე ადგილობრივი ჩვენ პოლიტიკურ პარტიებთან შეთანხმებული სია. გარდა ამისა ინსტრუქტორებმა დიდი უსაქმობა გამოიჩინეს განსაკუთრებით არჩევნების დღეებში. რაც შეეხება მეორე საკითხს თუ რატომ გამარჯვეს ესერებმა, აქ მართა სოც. დემოკრატების პოლიტიკის ვერ დაუბრალებთ, ვერც იმით აფხსნით სოც. რევ. გამარჯვებას რომ ისინი მუქთად დაპირდნ ხალხს მიწას და საერთო შეიარაღებას; აქ ნაც. დემოკრატებიც არიან დამნაშავენი. არჩევნების ორი თვის ადრე და მას შემდეგაც რამდენჯერმე მივმართეთ ჩვენ მათ ერთად გამოსვლაზე. ჩვენ დრმად ვიყავით დარწმუნებულნი რომ თუ კი არა სოციალისტური პარტიები შეკრებულნი გამოვიდოდით, სოც. რევ. სოციალისტთა საფრთხილო შექმნობა მკვიდრთა მცხოვრებთათვის მანც. მაგრამ ჩვენ ვერ მივიტანეთ მედგარი იერიში რადგან ზოგან იმათ აკლდათ ძალები ზოგან ჩვენ, თანაც

ჩვენი ერთმანეთში ბრძოლა ხელს უწყობდა სოც. რევოლუციონერებს, მით უმეტეს როდესაც მთავარი პარტიით ხალხი უკმაყოფილო იყო და იგი, მთავარი პარტია, საშიში ალარ იყო მათთვის — ესერებისათვის. ამგვარად აფხაზეთის არჩევნებმა დაგვანახვა რომ იქ მკვიდრი ცხოვრების უკმაყოფილონი არიან და ფრთხილი, წინ დახედული და სათუთი მოქცევა უნდა. აფხაზეთის უმრავლესობა ყოფილი გლეხობა, დიდი პატრიოტი ხალხია და მათ ეროვნულ მოთხოვნილებებს ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს თუ არ გვინდა რომ იმათ სხვაგან გაიწიონ, თუ გვინდა რომ ისინი საიმედო ჩვენი უნცროსი მოძმენი იყვნენ და აფხაზეთი შეადგენდეს საქართველოს ერთი მხრის ერთ მაგარ კედელს. მაშ მტეტი ყურადღება აფხაზეთს. ამას გვეუბნება დამფ. კრების აფხაზეთის არჩევნები. მ. იშხნელი.

ქართული პრესა

გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოში“ მოთავსებულია ი. დიდი მისი შემდეგი წერილი ბოლშევიკების საფრთხის შესახებ: „საქართველოს ცასაფათურაყო ღრუბლები არ შორდება. თითქოს ქართველი ერი იმისთვის გაუჩინა განგებას, რომ იგი განუწყვეტლოვ ებრძოდეს მომხდომ გარეშე, თუ შინაურ მტრებს!.. ბალშევიზმი მოგორავს რუსულ იმპერიალიზმის დევიზით. ძველ ძეგამის ახლანდელ კავკასის სანახებს შეეხო წითელი ხელი, სოჭის ოლქიც უახლოეს მომავალში ბალშევიკების ლუქმა გახდება. კავკასიის შემდეგ მოსკოველ იმპერიალისტები შესძლებენ თუ არა დაადგან თავისი ქუხელი ჩვენს მიწა-წყალს? ჩვენ გვწამს, რომ მოსკოველი იმპერიალისტები ამას ვერ შესძლებენ. ბალშევიზმის სამარე ეროვნული სახელმწიფოებია... საქართველო არ არის უსახდრო სივრცე რუსულ სამოქალაქო ომისათვის. დენინს აქ ეროვნულ ომის წა-

მოგება დასჭირდება, საქართველო რუსეთი არ არის და ასეთ ადგილებში უსათუოდ გადატყდება ტროცკის ძლივე მოსილი მახვილი. მაგრამ ცნობილი ბალშევიკური ხრიკები, ისინი ანგარიშობენ ციხის შიგნიდან გატეხით. ბალშევიკები მოედვენ ბათუმს, ისინი მუშაობენ საქართველოშია და ამ რიგად მოსკოველი ბალშევიზმი კონტრაბანდით შემოპარებულ არშინ ფულებით ნასულდგმულევი სწავლით ვადაგლობრივონ. და უმთავრეს ყურადღებას ახლა შინაურ სიმაგრეს უნდა მიექცეს. ღეს მთავრობა გაცილებით უკეთეს პირობებშია ვიდრე ოდესმე ყოფილა. ბალშევიზმის სამხედრო გამარჯვება ჩვენ გვაძლავს დროებით ანგარიში გაუწიოთ მოვლენების სტიქიურ განვითარებას და მათგან წარმოშობილ ფაქტებს. საშიშროების წინაშე ჩვენ ყოველთვის მარტონი ვიყავით, ვულწრფელი მოკავშირე ჩვენ არასოდეს გვეყოლია; მაგრამ, მანც უაღრესად საინტერესოა თუ რას იტყვის ბაქო და ერევანი. საქართველო ხელახლად იგეგება უცხო ხალხით, რაც მეტად საშიშოა გარე შემომსევე ძალის მოდგომის დროს. ამ გარემოებასაც სასწრაფოდ უნდა გაეწიოს ანგარიში. ჯერ არ გამოუგლოვია ჩვენს ერს გორის უბედურება, რომ ელვის სისწრაფით მოახლოვდა ბალშევიკური ზვირთი და ახალ-ახალ ფურცლებით გადიშალა ბათუმის ტრაგედია. ქართველი ერი რაინდულ ბრძოლაში სწერს ყოველთვის თავის მყოფელობის ისტორიას, დღესაც თეთრი გიორგი გაარღვევს ბნელეთს რაც ყველა ჩვენ სასიცოცხლო ძალთ უბრძანებს გაერთიანებას და ერთ მთლიან პოლიციის დაკავებას. დღეს შინაური მდგომარეობა, საშინაო საკითხების მოხერხებულ— მოხდენილად გადაჭრა და შინაური სიმაგრე უფრო საინტერესოა, ვიდრე უმაღლეს საბჭოს ამა თუ იმ უსამართლო რეზოლუციებით გაულის ხეთქა. ჩვენი ხელმწიფების მარადიულობა—სიცოცხლე უპირველეს ყოვლისა ჩვენზე ჰქიდა!.. გავიყვანოთ სწორი ხაზები დღევანდელ მრისხანე | თულებში, შევერთდეთ და დაედგეთ ყველა მოვალეობა — მოწოდების სიმძლვე“.

